კვირა, 19 ნოემბერი, 1917 წ.

 редакцiисъ адресъ: Тифлисъ, Олдасъ кучъ, № 6.

ფასი 35 კაპ.

редакцiисъ адресъ: Эдиса-бечуръ кучъ, № 13. ТЕЛЕФОНЪ 18-17.

ეშაკი №47

1917

უპანასკნელი ხერხი

ქურდი. ამხანაგებო! თქვენ გინდათ თავი ქვით გამიჭეჭყოთ. განა ეს არის ახალი მთავრობის მომხრეობა? აი წაიკითხეთ; იქა სწერია გაუფრთხილდით, ე. ი. არაფერი ავნოთ ქურდებსო.

ეშმაკის დეკრეტები

დიქტატურა ეშმაკისა პირდაპირ დეკრეტებით დაიწყო. ამხანაგებო, ბურჟუაზიას (იგულისხმეთ ანგელოზები) თქვენთვის არავითარი სიკეთე არა სურს. სასტიკი ომი მათ. თქვენი ინტერესების დაკმაყოფილება მხოლოდ ეშმაკს შეუძლია.

დეკრეტი № 1.

თფილისი. ბოძებულია ჩშიზ-სა წელსა, ნოემბრის 14-სა დღესა.

უწინარეს ყოველისა მიეცეს ეოველ მოქალაქეს დღეში ხუთ-ხუთი გირვანქა თეთრი პური (შეიძლება უკიდურეს შემთხვევაში ხაჭაპურიც). მიეცეს დილა-სადამოს ჩაი რძით, კარაქით და კვერცხებით (შეიძლება სურვილისამებრ ყავაც). მიეცეს სადილად ოთხი ხელი საკმელი (სუკის მწვადი აუცილებელია, რადგან რგებს ადამიანის ორგანიზმსა). თითო ბოთლი ღვინო და მწვანილეულობა. მიეცეს სადამოთი მსუბუქი ვახშამი, რათა ძილი არ გაუკრთეს. ამგვარად უზრუნველვყოფთ ჩვენ მოქალაქეთ სურსათის მხრით''.

ჯოჯოხეთის დიქტატორი ეშმაკი.

შენიშვნა: შეიძლება ეს კეთილშობილური სურვილი ჯოჯოხეთის მბრძანებლისა არ ასრულდეს, მაგრამ დამერწმუნებით, დანაშაული ბ ნ ეშმაკისა არ იქნება. მან ხომ კეთილ-ინება და დართო ნება მიცემისა, ხოლო თუ მის კეთილ განზრახვას არ აასრულებენ, დანაშაული, რა თქმა უნდა, ის იქნება, ვინც არ აძლევს.

დეკრეტი № 2.

თფილისი. ბოძებულია ჩშიზ-სა წელსა, ნოემბრის 16-სა დღესა.

დიქტატორი სრულიად ჯოჯოხეთისა ეშმაკი, ვაცხადებ საეოველთაო სასმენად: მიეცეს თითოეულ მოქალაქეს ოც-ოცი დესეტინა სახნავ-სათესი მიწა; ათ-ათი დესეტინა ტყე; ორმოც-ორმოცი დესეტინა სათიბი და საბალახო; ხუთმეტ-ხუთმეტი დესეტინა ბადი ხეხილისა, ან ვენახი (სურვილისამებრ); ცხრა-ცხრა დესეტინა სამოსახლო; თითო დესეტინა ნავთის წყაროანი ადგილები, ან ორ-ორი დესეტინა მადნეული მიწები''.

დიქტატორი ჯოჯოხეთისა ეშმაკი.

შენიშვნა: აქაც შეიძლება არ ასრულდეს ხალხის საკეთილდღეო განზრახვა პატივცემული ეშმაკისა და ხალხის მტრებმა არ მისცენ მას ის სრულიად სამართლიანი ნაწილი საქვეყნო სიმდიდრისა, რომელსაც ბ-ნი დიქტატორი იძლევა, მაგრამ აქაც დამნაშავე არა ეშმაკი, არამედ ის იქნება, ვინც არ აძლევს ხალხს ამ ულუფას. მიწის საკითხი მართლაც რომ უმტკივნეულოთ არის გადაწყვეტილი ეშმაკის მიერ.

დეკრეტი № 3.

თფილისი. ბოძებულია ჩშიზ-სა წელსა, ნოემბრის 16-სა დღესა.

,,ჩვენ, მბრძანებელ დიქტატორი ჯოჯოხეთისა, ეშმაკი, ვბრძანებთ: მიეცეს თითოეულ მოქალაქეს თითო ქარხანა რომელიმე საწარმოო დარგისა. სამუშაო დღე განისაზღვროს საათ-ნახევრით, ხოლო მინიმუმი დღიური ხელფასისა სამოცი მანეთით, თუ რომ მანეთის კურსი უმეტეს არ დაეცა. მოისპოს ნაკრობით და არა ნაკრობით მუშაობა.

ეშმაკი, დიქტატორი ჯოჯოხეთისა.

შენიშვნა: არც ერთ დიქტატორს ასე არ გაულრმავებია მუშათა საკითხი, როგორც ეს მოიმოქმედა სახელოვანმა დიქტატორმა ეშმაკმა. ის თითოეულ მუშას აძლევს თითო ქარხანას, საათ-ნახევრის სამუშაო დღეს და სამოც მანეთს დღიურ ხელფასს. ასეთია მისი სურვილი, მაგრამ შეიძლება ეს სისრულეში არ მოიყვანონ. დანაშაული, რასაკვირველია, ეშმაკს არ დააწვება, ის არ ზოგავს, აძლევს.

დეკრეტი № 4.

თფილისი. ბოძებულია ჩშიზ-სა წელსა, ნოემბრის 17-სა დღესა.

,,მიეცეს ეოველ მოქალაქეს ორ-ორ სართულიანი თლილი ქვის სახლი ქალაქებში (საუკეთესო ქუჩებზე). მიეცეს თითო სართულიანი (7 ოთახი) საკვარაკო სახლები წარჩინებულ საკვარაკო ადგილებში. მიეცეს მოკენწულ გზებზე სამგზავრო თითო ავტომობილი, ხოლო რკინის გზისათვის სალოკომოტივები. ჯისაც ბუდის

სისუსტე არ დასდევს, მათ მიეცეს თითო ჭეროვლანი ბლერიოს სისტემისა. ეტლითა და ტხენებით სარგებლობა, რა თქმა უნდა, უფასო იქნეს ყველასათვის. ზღვის პირად მცხოვრებთ მიეცეს თითო იხტა „ბოლიარული ვარსკვლავის“ ტიპისა.

დიქტატორი ეშმაკი.

შენიშვნა: ზედმეტია ლაპარაკი ამ დეკრეტში აღნიშნულ ბოძებათა სარგებლობის შესახებ. ჩვენ ეპვი გვეპადება მხოლოდ იმაში, რომ ბ-ნი ეშმაკის კეთილ სურვილებს ასეთივე კეთილი აღმასრულებელი დაურჩეს.

დეკრეტი № 5.

თფილისი. ბოძებულია ჩშიზ-სა წელსა, ნოემბრის 18-სა დღესა.

„ომი კაცობრიობისათვის ერთობ მავნებელია. ძმა ძმის სისხლსა დერის და ძმა ძმის კეთილდღეობას აჩანაგებს. იდუპება მრავალი წლის კულტურა და ხალხი პირველ ყოფილ მდგომარეობას უბრუნდება. აურაცხელი ენერგია, სიმდიდრე და დრო ისარჯება ამ უსარგებლო საქმეზე. ყველა ის უბედურებანი, რომელთაც ჩვენ უკვე მოვუზოვეთ მალამო და განკურნეთ, ომისაგან არის გამოწვეული. ამიტომ ჩვენ ვსთბით თვით ომს. მოისპოს ომი!

დიქტატორი ეშმაკი.

შენიშვნა. აღსრულდა! ბოლო მოეღო დროებით მთავრობათა ყოყმანს. ერთის კალმის მოსმით გულის შემზარავი ომი სამუდამოთ მოისპო. აღარ უნდა მოჰკლას ძმამ ძმა, აღარ უნდა გააჩანაგოს ძმამ ძმის კეთილდღეობა. ნუ თუ ვიფიქროთ, რომ ამ კეთილშობილურ სურვილს ვინმე წინა აღუდგება? ვინ იცის! შეიძლება ბ-ნ ეშმაკის კეთილი სურვილი აქაც ხმად მღაღადებლისად დარჩეს.

ისტორიკოსი.

ღია წერილი

ჩემი პალტოს წამლებს

ამხანაგო! შენ რომ იცოდე, ამ წუთში რა სულიერ ტრაედგიას განვიცდი, მერწმუნე, თუმცა ჩემი ამხანაგები მეობნებიან — შენი პალტოს წამლები უგულო ადამიანი ყოფილაო, — მაგრამ მე მაინც მჯერა — შეგებრალებოდი. აბა წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა! სუსხიანი შემოდგომა, წინ ზამთარი ასეთი სიძვირე, ჭლექით ავადმყოფი, ზიხარ და თვალცრემლიანი სწერ შენი პალტოს ნეკროლოგს! მერე რომელს? მეორეს!! წელს მაისშიაც სწორედ ქართულ კლუბში, იმავე ალაგას ამაცალეს პირველი პალტო. მართალი გითხრა, გულში კიდეც დაგმადლე მისი წაღება, რადგან ძველი იყო და რომ არ წაგელო ახალს არ ვიყიდდი, მაგრამ მეორეს წაღება კი ძალიან მეწყინა. აბა წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა! ქართველ მსახიობს ამ სიძვირეში განა შეუძლია პალტოს ყიდვა?! უნდა საბანში გავეხვიო და ვიჯდე სახლში; და თუ სახლში დავჯექ და არ ვიმუშავე, უნდა სიმშილით მოვკვდე. შენ მეტყვი — გადაახდევინეო? მერე ვის უნდა გადავახდევინო? მე და შენისთანა პროლეტარებს, კლუბის კაბალდინერებს! არა, მე დარწმუნებული ვარ, შენ ამას არ იკადრებ! შენ კიდევ შეგიძლიან იშოვნო! მე გატყობ, შოვნის უნარი გაქვს, მე-კი ამ უნარს მოკლებული ვარ თქვე დალოცვილებო, რაღა ჩემს პალტოებს ეცემით ხოლმე?! მე ამას კი არ გისაყვედურებთ! ალბად შეცდომით ჩაიდინე ეგა. პალტოს მარცხენა ჯიბეში პიესა „ჭენშელის“ როლია; ჰო და როცა იმ როლს დაინახავ, მიხვდები რომ პალტო ქართველი მსახიობისაა და დარწმუნებული ვარ, შენს შეცდომას გაასწორებ, — მოიტან!

შედეგისა ნუ გეფიქრება. გაძლევ პატიოსან სიტყვას, ეს საიდუმლო სამარეში თან ჩამყვება.

ვემყარები შენს სინდისს და იმედს არა ვკარგავ.

ვალ. შალიკაშვილი.

(„სახალხო საქმე“)

ღია პასუხი

ვალერიან შალიკაშვილს*).

მოწყალეო ხელმწიფევ! გუშინ წინ მოპოებულ პალტოს ჯიბეში შემთხვევით აღმოჩნდა გაზ. „სახალხო საქმე“, სადაც შენი წერილი იყო მოთავსებული. ერთობ ახირებული ვინმე ყოფილხართ ბ-ნო ვალერიან. ვერ გამიგია, რა არის ჩვენ შორის სა-

*) რედაქცია ზოგიერთ ტეზისებში არ ეთანხმება ბატონ ავტორს, მაგრამ სამართლიანობის ალსადგენად წერილს მაინც ბეჭდავს.

ერთო, რომ „ამხანაგს“ შიძახით? შეიძლება ასეთ სართო საგნათ შენი პალტო დაისახოს, მაგრამ დღეს დღეობით პალტო იგი კერძო საკუთრებას შეადგენს და ამგვარათ ეს ერთი ნიდაგიც გამოეცალა ჩვენს „ამხანაგობას“.

ჩემის ღრმა რწმენით შენ ცოტა მსუბუ ათ ეპურობი სიტყვა „ამხანაგს“. ნუთუ ფიქრობ ბ-ნო ვალერიან, რომ თფილ ოთახში სცენაზე ხტუნვა საბაბს გაძლევს „ამხანაგი“ დამიძახო? ოჰ, რა შემცდარი ხარ? ჯერ გამოსცადე, ჩემო კარგო, ის შიში, თრთოლვა და გულის კანკალი, რომელსაც ჩვენ თითოული ქურდობის დროს ვცდით; გამოდი რომელიმე სახლიდან მშვიდობით, გამოსცადე შრომა მილიციონერთა, მეეზოვეთა და მსახურებთან მოლაპარაკებისა; დაემალე შვმოხვევით გაშვლელთ და შემდეგ ჩამომიგდე ლაპარაკი „ამხანაგობაზე.“

შენ იწერები: „რომ იცოდე ამ წუთში რა სულიერ ტრაგედიას განვიცდ ი, მჯერა შეგებრალებოდიო“. ოჰ არტისტებო, არტისტებო! თქვენ ჭეშმარიტათ „სულიერი ტრაგედიის“ მოხდენები ხართ. ისე მიჩვეული ხართ სცენიურ ხელოვნებას, რომ საკმარისია კაცმა ერთი პალტო მოგაშოროსთ, უკვე მზათ არის „სულიერი ტრაგედია“.

„შენ კიდევ შეგიძლია იშოვნო სხვა პალტო; მე კი ამ შოვნის უნარს მოკლებული ვარო“ უსიტ-ყვოთ სწერ ბ-ნო მსახიობო და თან „ამხანაგს“ მეძახი. შე კაი კაცო, თუკი სულიერი ტრაგედიების მოხდენა შეგიძლია სცადე, იქნება პალტოც იშოვო. ჯერ ხომ არ გიცდია და მიკვირს გულს რატომ იტეხ. „როცა გაიგებ, რომ პალტო ქართველი მსახიობისაა, იმედია მოიტან; შედეგისა ნუ გეფიქრებაო“. ჩინებული აზრია! რის წვითა და დაგვით შეძენილი პალტო უნდა მოგიტანო და შედეგისა ნუ შემეშინება. განა ის არა სჯობია. პალტოც დამრჩეს და შედეგიც? „ვემყარები შენს სინდისს და იმედს არ ვკარგავ“ განაგრძნობთ თქვენ. ასეა ჩემო კარგო: განა ის არა სჯობდა იმედი დაგკარგოდათ და პალტო კი არა?

პალტოს ქურდი.

ვასია.

ჩემი ძმობილი ვასია.
მოხერხებული ბიჭია;
მას საამისო ცოდნასთან,
შესწევს ძალა და ნიჭია.
იცის სად როგორ მოიქცეს,
რა დროს რა საქმე სჭირია;
წარმოსთქვამს ბრტყელ ბრტყველ სიტყვას,
მოშაქრული აქვს პირია...
როდესაც თავისუფლება,
თავის ნარნარი ფრთებითა;
ჰეტროგრადიდან გვესტუმრა,
მარსელიოზის მღერითა;—
ხალხი წითელი დროშებით,
ქუჩაზე გამოდიოდა;
თავისუფლების სიტყვები,
სუყველას ბაგეთ სცვიოდა:—
გამოხტა ჩვენი ვასია,
აიკრა ტრიბუნაზედა;
გამოიკიმა ხალხისწინ,
ქუდი გადიძრო თავზედა,—
დასჭექა სიტყვა მედგარი,
რასპუტინ, მინისტრებზედა;
და გაილაშქრა ერთ პირად,
თავისუფლების მტრებზედა...
ხალხში გაისმა ჩურჩული:
„ეს ვასო რა ყოფილაო;
გუშინ ორდერებს ეძებდა.
დღეს კი სულ გარდაქმნილაო“...
და ღელავს ვასო... სიტყვები
მოდის პირიდან ნარნარად;
მუშტებსა იქნევს ჰაერში
სახეს ოფლი სდის კამარად...
დათავდა. ტაში დაუკრეს;—
ხელით ატარეს ვასიხ.
თითქმის ეს მორე იშოვეს
თავისუფლების ფასია.
და სადაც ხდება კრებები,
შიდის და ტკბილათ ქადაგებს;
ამ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს თითქოსაც,
ჯიბეებიდან ალაგებს.
ხან თავჯდომარედ, ირჩევენ
ხანდის-ხან კიდევ მდივნათა;

„რეველიუციას ბელადობს“
და თავი მოქვს დიდათა...
ჰა ალმატებაც მიიღო,
თფილ ალაგს დაეპატრონა;
სულ ალრ ახსოვს კერებები,
არმომიკვდება მატრონა.

გადის დრო, გადის ხანაცა,
ალარსადა სჩანს ვასია;
იმას ქებასთან თან და თან
ხალხში აკლდება ფასია.
უწინ თუ ითქოს არჰყავდა
იმას შრომაში ცალია,
დღეს თფილ ალაგზე სადილობს,
შრომისთვის ალარ სცალია...

როკოკო.

—

ძმაო რედაქტორო!
(ჩემო პედაგოგო..)
აუსრულე, რასაც
გთხოვს შენი „როკოკო“.
ფინანსები სუსტობს,
მარჩობს სილარიბე
ათასმა ხარჯებმა
დამიცალა ჯიბე.
გთხოვ: მიგზავნო შენი
ჟურნალის ცალები,
თორემ მისი ყიდვის
არ შემწევს ძალები.

რ—კო.

—

დ ე კ რ ე ტ ი.

ისიდორე კვიცარიძეს.

ძმაო ისიდორე,
პრესის კომისარო!
როკოკოს სურვილი
გთხოვ მყის მოაგვარო.

ეშმაკი.

დ ე კ ე შ ე ბ ი

(ბუტუნას სააგენტო).

ლანჩხუთი. ქალაქის არჩევნები ესდეკების ჩვეულებრივი გამარჯვებით დამთავრდა. მოულოდნელათ დაიბადა ერთი თავსატეხი კითხვა: საარჩევნო ბიუროს ბლოკით შეეკრა ვაჭრებს, რომლებმაც 2 ხმოსანი მოითხოვეს: (მღვდელი და ექიმი) ისინი საარჩევნო ბიუროს სახმოსნო სიის პირველ და მეორე ნომერზე დასვა, ხოლო გაზეთმა ს. დ. ხსენებული 1 და 2 კანდიდატი 19 და 20 ნომერზე მოაქცია. ამგვარათ პრესაში გამოცხადების მიხედვით ვაჭრების კანდიდატები: ექიმი და მღვდელი გაშავებულია, რადგან 2 ხმოსანი ფედერალისტებმა გაიყვანეს, ხოლო საარჩევნო ბიუროს გამმარტებით ვაჭრების ხმოსნები გათეთრდენ ხოლო 17 და 18 ნომერი გაშავდენ. 17 და 18 ნომერი კი ოფიციალ განცხადებას ეყრდნობა და ხმოსნობას თავს არ ანებებს. საჭიროა ეშმაკი თავის იარაღებით, რათა სადაო საკითხი გადასჭრას.

„ზოგი ჭირი მარგებელია კაცისა“ აი მეცნიერული და თან პოეტური მარცვალი, რომელშიაც კიანთობს მთელი მატერიალიტური ამოცანა. ზოგი ჭირი რომ მარგებელია ამის დადასტურებას პირადი გამოცდილებითაც ვბედავ. მაგალითისათვის ინებეთ უტყუარი ფაქტი. ეხლანდელ სოფლის ცხოვრებაში (ქალაქში კიდევ უარესი) ოჯახში მეადი და ტარანა თუ იშოვე ხომ დიდიდი ბედნიერი ხართ. ამა ქათამი საკალანდოდაც გასაპირი იქნება როგორც მოგეხსენებათ, და მე, როდესაც უბრალო დღეს ქათამი მომართვეს სადილათ საკუთარ ჩემ სახლში, კითხვა ვეღარ გავბედე, სიხარულით ვიფიქრე: ჩემს დიასახლის ისე მოვსწონვარ, რომ ქათამსაც იმეტებს ჩემ საპატიოთ მეთქი. მარა მეორე დღეს რომ კიდევ სახლის მამლის მბიბილოიანი თავი მომართვეს ამან ყოველ მოლოდინს გადააჭარბა და ვეღარ მოვითმინე ჩემი დროს მაჩვენებელი მამლის ასე ვერგულათ გამეტება და განცვიფრებულმა შევხედე ჩემს მოლოზონს. მან შეკითხვამდი მიპასუხა „შენთვის ქათამს ვინ დაკვლიდა ქათმის ჭირს რომ არ ამოვეგდეო“. თურმე ქათმის ჭირმა გამახსნილებია და მაშინვე მომაგონდა თქმულება „ზოგი ჭირი მარგებელიაო“.

ეს ქათმის ჭირი კაია, მარა ახლა ძროხის ჭირს არ

იკითხავთ რა მარგებალია?! მე ვიცნობ რამოდენიმე ათეულ ყასაბს (როგორც ჩემ ძველ თანამოხელეს) ძროხის ჭირის გაჩენამდე რომ ფეშტამალისა და მართა დანის შეტი არაფერი გაჩნდა, ძროხის ჭირის წყალობით ბათუმში, ფოთში ქუთაისში და ლანჩხუთშიაც კი სართულიანი სახლები წამოჭიმეს. ახლა მკითხველთათვის ჩვენ რესპუბლიკაზე უცხადესია აზრი და მნიშვნელობა მგოსნის „ზოგი ჭირისა“.

ბუტუნა.

კახეთს

ჰე, კახეთო! საქართველოს მშვენებავ,
მთელი ქვეყნის სატრფიალო საგანო,.
შენისთანა კეკულუცი და ლამაზი
ნუ თუ იტყვის ვინმე: ვნახე სხვაგანო!
არა, არა. შენ რომ ხარ სულ სხვა რამ ხარ:
ნეტარების სამოთხე და წალკოტი.
მე მოგიკვდე თუ გაგცვალო, თუნდ მომცენ
შენში ამდროს ასი ოქროს ნაფოტი.
მაგრამ მტკივა გული, როცა გიყურებ,
რომ კვლავ ისევ ძველებურათ გწველიან,
ფუქსავატ ლაპარაკით გატყუებენ,
მაგრამ საქმით თავის ჯიბეს შველიან.
ძველადაც ხომ სულყველა შენ გწიწკნიდა
ავი საქმე სთქვი ვინ არ დაგაყარა;
ნუ თუ გსურს კვლავ ის წამების სამეფო
რაც ცხოვრებამ უკვე დაასამარა?!
თუ ჰოს ამბობ, მაშ წყეულიმც ყოფილხარ,
ამოგიწყდეს იხვ-ინდაურ-ბატები;
საუკუნოთ ღმერთმა არ დაგილიოს
ვალარშაკას მგზავსი „დემოკრტები“.

ჯიბილა.

*)ვედისტეხეში-ეოფილი
კომიტეტისა წევრია;
დღემდის მს მართალ კაცთა
სოფელში სტნობდა ბევრია.
მაგრამ, როდესაც ებრალეთ
ფასში ასწიეს ფართალი,
ეველამ გაიგო, თუ როგორ
ვალარშაკა „მართალი“.

პირდაპირი მაეთული

ქ. ახალ სენაკიდან.

ადგილობრივი საზოგადოება რომ კარგათ იყოს გათვითცნობიერებული რევოლუციონურ მოძრაობაში და კარგათ ქონდეს წარმოდგენილი მისი მსვლელობა, აქაურმა ახალგაზდობამ (ქალ-ვაჟმა) გადასწყვიტა მორიგეობა გამართონ სადგურზე; მატარებლის მოსვლის დროს მორიგეობა გაძლიერებულია და მორიგეობს 215 წყვილი. საბჭოები აგზავნიან ხუთხუთ წარმომადგენელს. კომიტეტები სამ სამს, რევოლუციონური პარტიები ოროორს, ხოლო არა რევოლუციონურნი ათათს, (ყველანი წყვილათ).

მარტვილის ტაიონის კომისარიდან მაზრის კომისარს მოუვიდა შემდეგი დეპეშა: ექიმ ჟორდანიას *) ოთხი საათია სიმინდის კაკალზე დაჩოქილი ყავს ყველა მოწინავე ამხანაგები, გთხოვთ მიიღოთ ზომა.“

იქიდანვე მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს თავმჯდომარემ ამხ. გ. მაღნარაძემ ამის შესახებ მიიღო შემდეგი დეპეშა: „გუშინ ექიმმა ჟორდანიამ მათრახით, მერე ლეკურის ფერდით სცემა კომისარს თუ ჟორდანია არ იქნა აქედან გადაყვანილი ჩვენ ყველანი ხვალიდან ვიფიცებით თავმჯდომარე ჩელა ჩელაია,“ ამაზე კომისარმა და ამხ. გ. მაღნარაძემ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მარტვილის კომისარს:

“ჩვენ არ გვწამს, რომ ექიმი ჟორდანია ვვლურ რამეს ჩაიდენს, ცხადია თქვენ ხუმრობთ. ის ალბათ რევოლუციის გასაღრმავებლათ შვება ყველა ამას და მასთან შეიძლება მედიცინური თვალსაზრით საჭირო იყო მასაჟი. გთხოვთ დაუყონებლივ შეუდგეთ თქვენი პირდაპირი მოვალეობის ასრულებას ასრულებ: რევოლუციის გაღრმავებას და გაფართოვებას იმ გეგმით როგორიც ჩვენ აქ განგიმარტეთ.“

ახალ-სენაკი—მაზრის მილიციონერებს დაეკარგათ 7 ცხენი. ბრალს სდებენ კომისარს. ოქმი შედგენილია.

---

*) ამ საუტხოვო გმირის თავის ქალის მოხაზულობას ამ დღეებში გაუგზავნიო ამხ. ეშმაკს, რომ ეაროვ სიზოგადოება გაეცნოს.

*)ვედისტეხეში-ეოფილი
კომიტეტისა წევრია;
დღემდის მს მართალ კაცთა
სოფელში სტნობდა ბევრია.
მაგრამ, როდესაც ებრალეთ
ფასში ასწიეს ფართალი,
ეველამ გაიგო, თუ როგორ
ვალარშაკა „მართალი“.

— 1 ნომბერს ღამე ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში მოხდა შეტაკება. კაი ხნის სროლის შემდეგ გაიმარჯვა ძმა ბიჭებმა, ჯ-ძის მეთაურობით. მიშველებულ მილიციას სროლით უპასუხეს. კანტორის ეზოში გამოცხადდა რესპუბლიკა.

— 29 ოქტომბერს ქალაქის თავს დაეკარგა ორ გირვანქა ნახევარი ყველი სულუგუნი (სწორეთ ისეთი, როგორიც ამხ. ეშმაკს ეკვარს*), ბრალი ედება მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს.

— სამაზრო სასუსათო კომიტეტმა შემდეგი რადიოტელეგრამა დაგზავნა ყველა ქვეყნის ბურჟუებისადმი: „ყველას, ყველას გისაც აქვს ჩითეულობა, რკინეულობა, პურის ფქვილი, თუ ხორბალი, შაქარი და ჩაი, ვინც ზემო აღნიშნულ სანოვაგეს გამოგვიგზავნის მიიღებს ჩვენგან სიმინდის ფქვილს, თხის თუ სხვა ხორცს და მეგრულ ყველს.

ზუგდიდი: ყაჩაღებმა ქალაქს დაადვეს კონტრიბუცია 5 მილიონი მანეთი, ტყვეთ წაიყვანეს მაზრის კომისარი და მილიციის უფროსი. სენაკიდან მოსაშველათ ჩამოვიდა მფრინავი რაზმი ყოფილი ბოქაული ახვლედიანის მეთაურებით, რომელიც დაჰპირებია ყაჩაღების ცოცხლათ ჩამოყვანას, რის ჯილდოთ მიღებს „პარტიის წევრობას“.

ოჩემჩირე: გამოაცხადდა აფხაზეთის დემოკრატიული რესპუბლიკა. თავმჯდომარეს ეძებენ.

ოჩოკოჩი.

ბასუხის ბასუხი

ჩემს გულითად მტერს, ორგულს, ამხანაგს და მოქალაქეს „ცეცეს.“

ჩემო საუკეთესო სახსენებელო, სანთელ-საკმიელად შესაწირავო და სანეტარო ძმაო ცეცე! ეს იყო 3 კვირის გულის გამწყალებელ ლოდინის შემდეგ მივიღე შენი წერილი ამხ. მორიელის ხელით. ცა ქაღალდათ არ მეყოფა და ზღვა მელნათ რომ ერთბაშად გადმოვანთხიო ის უზომო აღტაცება, რომელიც შენმა წერილმა გამოიწვია. საღამოს რვა საათი რვა წუთი და რვა წამი იქნებოდა, როდესაც მე ერევნის მოედანზე ერთ ჩემს ნაცნობ გაზეთის დამატარებელს „მათრახი“ გამოვართვი და ის იყო უნდა ჩავმჯდარიყავ 1 № ტრამვაის ვაგონში, რათა დროზე გამოვცხადებულიყავ მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში—ინტერნაციონალისტ-ობორონეც პარაჟენეც-გაერთიანებულ-განცალკევებულ-მენშევიკ-ბალშევიკ სოციალ-დემოკრატების ლექციაზე-მოხსენებაზე, რომ უეცრათ „ეშმაკის მათრახის“ მე 11 გვერდზე თვალი მოვკარ შემდეგს: „წერილი გურულ ბიჭსო“ და ბოლოში კი „ცეცე“. მე მყისვე *) ჩავჯექი ვაგონში და სწრაფ**) გავექანე დანიშნულებისამებრ. ვკითხულობდი და თან ჩემს პატარა, უზომო ლამაზ ულვაშებში მეცინებოდა.

მაგრამ დახეთ ჩემს გაკვირვებას: სულ რამოდენიმე წუთი და ნავთლუღის განმანაწილებელ პუნქტში გავადენდი ფხეკას, რომ ჩემდა საბედნიეროთ კახეთის მოედნის მახლობლათ ზურგზე მთელი თავისი ამუნიციით 218 პოლკის ორი სალდათი არ შემსკუპებოდა და „ბეი ბურჟუებსო“ არ დაეძახა. ეჭვი არ არის ჩემი პასაჟირ ბოლშევიკი იქნებოდა. აი სადამდის მიმიყვანა, ძმაო ცეცე, შენმა წერილმა და მის მიერ გამოწვეულმა სიხარულმა.

მარა ახლა გადავიდეთ თვით წერილის შინაარსზე. შენ მისაყვედურებ, ძმაო ცეცე.“ აფრიკელ მუსა ცეცეს მადარებო. ვფიცივ ხამს სამოცდა ხუთ სახარებას, სამებას და ერთსებას, შენ თავს, ჩემს თავს, ბოლშევიკებს, მენშევიკებს, და კლეროიკალებს, რომ მე ერთხელაც არ მიფიქრია თუ სახელწოდება „ცეცე“ შენი შეურაცხმყოფელი და უკანონო სახელი იყო. მე თუ არ ვცდები შენს მეტრიკულ აღმოწერილობაში ხაზ გასმით არის აღნიშნული: ცეცე მუხასძე ბუზანკალიძეო. შენ კი ძმაო „ცეცე“ ასეთი დასკვნა გამოგიყვანია, ვითომ აფრიკელი ბუზი муха цеце ს მაგვარი იყო. არა ძმაო „ცეცე“ რომ ეს ბრალდება უსაფუძვლოა, ამას შენ მიერ მოყვანილი უკვდავი ფაქტებიც კი ღაღადებენ, რომ ვერც ერთ ყალბ მანდამეტიან ფედერალისტს თვალები ვერ დაუსივეო. მე ეჭვი არ მეპარება შენს უმანკოებაში.

*) და რომელსაც არვინ უგზავნის.

ეშმაკი.

*) მაშ გიცხონდა!

ეშმაკი.

**) ისე აგიშენდა ოჯახი!

მორიელი.

უგზო უკვალოდ დაიკარგა მთავარსარდალი კერენსკი



კერენსკის ეძებენ!
არ იქნა, ვერ ნახეს,

(„ობისკი“ ვერ უქნეს
დონისა ყაზახებს).

წერილის დასაწყისში მოგყავს შეუდარებელი პოეტური ბუნების აღწერა, რაიც თუ არ ვცდები განსვენებული მგოსნის, სოლომონ ზურგიელიძის ალბომიდან უნდა იყოს ამოკ ძურწული და აღნიშნავ იმ ფაქტს, თუ რისთვის იკადრე ჩემთან წერილის მოწერა და ასე უზომოთ გამაბედნიერე. მერე ამბობ: შენ რომ არაფერი იყავი და არც იქნები მე ქე ვიცოდიო. შენ უნდა გცოდნოდა ძმაო „ცეცე,“ რომ მე ბზუილი არ მიყვარს და არც თაყვანს ვცემ იმ მოტარტალეს რომელმაც განუყრია ყური ჩვენი, ვერ მისცა გონებასა ჩვენსა ნათელი. შენ რომ ალეგორიის ახსნის უნარი გქონოდა დარწმუნდებოდი, რომ ნამდვილი რევოლიუციონერი მე ვყოფილვარ და შენ ფსევდო რევოლიუციონერი. შენ კი ხმა მაღლა გაიძახი: ნამდვილი სახალხო ლამპარი ვარო, შენ თუ ლამპარი ხარ ბიჭო, მაშინ მე ჩირაღდანი ვარ და იგია. ტყვილა კი არ თქვა ძმაო „ცეცე“ განსვენებულმა პოეზიის ღმერთმა სოლომონ ზურგიელიძემ: „მე სულ ეხვა ვარ, სხვა სულდგმული და სხვა და სხვა რამეები„ ო და ნუ გეწყინება, თუ რომ პატარე წევიტრაბახოვო. შემდეგ შენ ეხები, ძმაო ცეცე, ჩემს ტანადობას არც ერთი თფილისელ მოქალაქეს ეჭვი არ ეპარება და ამ უკანასკნელის პრიზითაც კარგად მაქვს დამშვენებული გულ-მკერდი! სულ რაც შეეხება „უნდომობას“ მე დარწმუნებული ვარ და შენც დამეთანხმები აქ შენი ჩუბიექტიური ელემენტა ჩარეული. დასამტკიცებლათ აგიღებ თუ აგიყვან

გაზვიადება და გადაჭარბება

მოძალაძე? ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ამ ბალშევიკების სიმხეცეს რომ ვკითხულობ **თმები** ყალხზე მიდგება.

ისევ შენ ძმაო ცეცე: „სიხარულით ერთი იმფერი შეუხტი პრისუტსტვიეს სეკლეტარს რომ დივენახე ჩემს ასტროჩქის ქადალდს ფურთხაშ-ფურთხაშათ გამიხდიდაო.“ აი ბიჭო სად გამოგიბარდღალდა ყვავი! აბა ამ მოლოხის საუკუნეში კიდევ მეიპოვება ისეთი ადამიანი, (თუნდაც სოფლის მაწავლებელი) რომ დდეს ჯარში არ იყვეს და რეოლიუციას თუ კონტრ-რეოლიუციას არ ემსახურებოდეს? ჭირიანი და ნაწამლი კი მინახავს ასტროჩქიანი მარა უჭირო კი არა. აქედან ძმაო ცეცე მე დარწმუნებული ვარ შენებურ დასკვნას გააკეთებ ვითომ ჭირიანი შენ იყო. არა ძმაო ცეცე მე მხოლოდ მაგალითათ აგიღე შენ.

შენ ერთი კარგი ამხანაგი პოლიტიკოსი მასწავლებელი გყოლებია. ეგ ხომ იშვიათია ჩემს წარმოდგენაში, ძმაო ცეცე, ისეთი ს. მასწავლებელი რომელსაც კიდევ დარჩენოდეს თავისუფალი დრო ულმობელი და სავალალო კუპის საკითხი მოეგვარებისს და კიდევ პოლიტიკას შეხებოდეს. მარა ყველა ამის სტატისტოკური ცნობები აშკარად ამტკიცებს მას მოსდის „ივერია ცნობის ფურცელი“ „კოლხიდა, “კლდე“ და სხვებიო. ეს ცნობები აშკარად მოწმობენ აგრეთვე იმას, რომ შენი მეგობარი ბალშევიკი უნდა იყვეს, ვინაიდან ხსენებულ გაზეთებს თუ არ ვცდები ამ რამოდენიმე ათეული წლის უკან პატივცეიული გუნია ხელ-მძღვანელობდა, და მის მიერ შეხოხბილი „ხავის პარტია“ მე მესმის როგორც ბოლშევიკების პარტია. ახლა ძმაო

ცეცე შენ როგორცა სჩანს ამ პარტიის ბელადიც კი გამხთარხარ. მარა შენ ის კი არ იცი, რომ მე მოგასწარი? აბა ვინიქნება იგი თავხედი, რომ დღეს ამ კარტოჩნი სისტემის საუკუნოში კაცი პურს გაწოდებდეს და არ მიიღოს? ბოლშევიკები ძმაო ცეცე თუ უკაცრავად არ ვიქნები ნამდვილი პროლეტარიატის პარტიაა, და კიდევაც უნდებიენ ამ ჯოჯოხეთის სამეფოდან სამოხეში შეიყვანონ იგინი და სოციალიმი სინამდვილეთ აქციონ: აბა იგი ჩვენი მენშევიკები რომ არიან იგინის მე სწორეთ არაფერი მწამს. ბევრ მათგანს უნდა ჩაეკლა ჩემში რწმენა ბოლშევიზმის, მარა დიახაც ვერ მივართვი პატრიჟანი. შეიძლება ვინმე ღვარძლიანმა მენშევიკმა მიპასუხოს: შენ ძმავო მაქსიმენეს მოძღვრებას ღალატობო. ძალიანი შემცდარი იქნება, მაქსიმენას და ლასაიას თვითონ ღალატობენ. ბოლშევიკები სწორეთ იმას ამბობენ, რასაც ცხონებული მაქსიმენე ამბობდა. ძირს კაპიტალისტები და ბანკირებიო მათი სიმდიდრე პროლეტრებსო. ახლა ყოველი კაცი პროლეტარია ჩვენში. მოდი და ნუ დაამხობ ყირამალა იმ ბურჟუებს. ერთი ასი ოქრო ჩევიჩხრიალო ამ გაფხეკილ ჯიბეში ხუმრობა ხომ არ არის.

გუშლამ გევიხედე, ძმაო ცეცე, და გამევლ ტრიბუნაზე ერთი კადეტი და ყირამალა შეატრალა ჩვენი ბოლშევიკების ლოზუნგი. ომი ბოლომდის ზავი ანექსიით და კონტრიბუციით ხალხის თავბრუ დაბნევის საფუძველზეო. მე მეგონა აგია დაჩერჩეს მეთქი, მარა გაათავა თუ არ სიტყვა ისე კი დაყარეს კოხი როგორც გერმანსკი პულემიოტი. არა, ძმაო ცეცე, როგორ უნდა იფიქროს კაცმა მარა მე კიდო იმ კადეტების გამარჯვებას ბოლშევიკების დიქტატურა მირჩევნია და თუ მაქით კაცი დაილიოს იგი შენი მეგობარი მასწავლებელიც გამოდგება დამფუძნებელ კრებაზე გასაგზავნათ.

მარადის შენი ნახვის მონატრული, საყვარელი მტერი-მოყვარე, მოქალაქე და მოღალატე

„გურული ბიჭი“

დეპეშები.

ქუთაისი. ქუთაისის საშუალო სასწავლებელთა პედაგოგიურ საბჭოების შეერთებულმა სხდომამ, მუშათ და ჯ.-კაც. საბ. და ყველა ადგილობრივ რევოლიუციონურ ორგანიზაციების წარმომადგენლების თანადასწრებით დააგინეს: „თუ 5 ნოემბრამდე მოწაფეები არ გამოცხადდენ სასწავლებლებში ნოემბრის შემდეგ რიცხვებში მოახდინონ „აბლავა“.

ქუთაისის დრამ, საზოგადოებამ გადასწყვიტა შესწვიტოს ზამთრის სეზონი და ნაცვლად წარმოდგენებისა გამართოს ლექციათა მთელი რიგი შემდეგ თემაზე: „როგორ უნდა თავის დაჭერა თეატრში“.

ს. ფ. პარტიამ ბოლშევიკებს მხარი დაუჭირა და აჯანყდა. შუა უბნის კომისარი გადააყენეს. რესტორანი „ალენი“ მათ ხელშია. კანტიკუნტი რევოლვერების და თოფების სროლაა.

ნ. დ. პარტიამ დამფუძნებელ კრების სამზადისისათვის პლაკატები გამოაფინა, რომელშიდაც მოითხოვენ არა თუ მიწაზე საქართველოს გამოყოფას, არამედ ზეცაში თავისი წილ მნათობთა მიღებას. მნათობთა შორის მოითხოვენ: მზის 16 სხივს, $^1/_6$ მთვარეს და 7 ვარსკლავს (ვარსკლავების სახელები დასახელებული არ არის).

სატანა

წერილი ოზურგეთიდან.

როგორც მოგეხსენებათ ძველათ, აი ძველი „დახავსებული“ ნიკოლოზის მთავრობა რომ სუფევდა, თუ რამე უბრალო ადგილის შინა გინდოდა, აი მაგალითად თუ გინდა „სტოროჟობა“ იმაზე უნდა წვალედულიყავ, დღე და ღამე არ უნდა გეძინა, არ უნდა გესვა, ვინცხას უნდა შეხვეწნოდი, დაღლარჯოდი, ხუთი ექვსი დედალი უნდა მიგეყვანა, იგი ვინცხას მის „ზნაკომს“ შეეხვეწებოდა იგი კიდომ ვინცხას და ბოლოს დიდი ვაი-ვაგლახით მიიღებდი ამ ისტორიულ ადგილს—„სტოროჟობას“.

ხოდა რომ იშოვნიდი მერე დედლებს ვიღან ჩიოდა, ყოველთვის პირში ექნებოდა გამოკეტებული იმ ჩემს „პროტეკტორს“ ვინცხამ მე პროტეკცია გამიკეთა რომ „მე გიქენი და მე გიქენიო“.

მარა ახლა რომ დროება შეიცვალა, ქვეყანა გადაბრუნდა, ახალთაობა დადგა, ყველაი იძახის თავისუფლება თანასწორობაო, მოსპო უსამართლო-

ბაო, რაცხა სოციალ-დემოკრანტიო კიდომ მენშევიკიო პროლეტარიო, რავა მაგას ვიფიქრებდი რომ მე კიდომ იგი ხვეწნა და მურდუ-ნათლულობა დამჭირდებოდა. რავა მაგას წარმევიდგენდი? მაი რავა მეგონა! რავა, პირველათ რომ რაცხა რელიუცია მოხთა იგი გამიხარდა რომ აწი ჩემი სუქანსუქანი დედლების და ვარიების ჭამა მე თვითონ მომიწევსმეთქინ, და ამ დილას იალონში ჟუჟის წყალში კალმახიზა დგლაფუნი რავა დამჭირდებოდა მეგონა. მაშინ ქემაინც რაცხა ან ფული, ან საქონელი გამივიდოდა, სულ რომ რაცხას გესლსხვია— გეკალებია ქემაინც გაიწყობდი რაცხა ახლა ძმავ თუ ნამეტარი კაი ნაცნობი არ ხარ და კაი მაგარ „ზდრასტი“ არ გაქ ვინცხა კომიტეტიო და კომისარიაო, ისე ძმავ ტყულაი იმედი არ გქონდეს რამეს გავიწყობო. ასეა ახლა ჩემი საქმე. გუშხამ ამ დასაქცევ ოზურგეთში მინდოდა რაცხაი პაწაი ადგილი მეშონ; დიდი რამე არ გეგონოს. ეგება ამ ჩვენი დიდ „კომიტეტში ვგონია, ან უპრავაში? არავ ძმა ანდა აი ახალ გახსნილი კაზნაჩისტვაში. არა კაკო. და ან კოპერატიაში კიდევ ან ფოშტაში და ქალაქის აფთიაქაში კი არ იფიქროთ. მაგენს ჯვარი სწერია...

აი კაკო სადაც თელი დემოკრანტები „ბეკოზენ“ სადაც თლათ ჩვენებია, აი რაცხა მასწავლებმლებია, ვიფიქრე კაკო აქანაი რავა მეტყვიან ვარსმეთქინ, მარა არ შეგეამოს ჭირმა, თურმე რაცხა „პროტეკცია“ აქანაი გინდა კაცს, თვარგყავს ან კომისარი და ან კომიტეტი ნათესავი ან ბიძიე— ბიძაშვილი ისე ვინ მოგაშავებს რამეს. მივედი და მითხრეს: „თქვენ ვარი გეცხადებათ ადგილზე, რადგანაც თქვენ კარგათ ვერ გიცნობენო“.

აფერი, რაღას გიზამდი! გავჩუმდი და ქე წამოვედი შინ. ახლა ვიფიქრე ისევლე ჩავდგე „ოჩერედში“ და რომ დეილევა აი „პროტეკციანი კატეკორია“ მერე რაცხა კი მომიწევს მეთქინ, თუ ამანაც არ გასჭრა მაშინ სხვაფერ მოვიქცევი: სასიძო ბიჭი ვარ; მოვიყვან ქალს, შვილი შემეძინება, ვიზამ ერთს დიდ კამპანიას, მოვნათლავ ამ ჩემს ბაღანას, მოვანათლიებ კომისარს პოპოშნიკს, ქალაქის თავს, ხაზინადარს, სუდიას, პროვიზორს, კოპერატიეს უფროს, მასწავლებლებს რავიცი, ერთი სიტყვით მთელ ოზურგეთს თუ კი ამითავდა სახარჯო და მერე იკოცხლე, მასწავლებლობას კი არა ეგება დეპუტატთა სიაში პირველ ნომერში წამომაყუდონ.

ტარტაროზი.

ცნობები რაჭიდან.

(პირდაპირი მაგუფლით.)

ს. ზნაკვა. ადგილობრივი კოოპერატივი „გლეხის იმედი“ ძალაზე გამოხრული აღმოჩნდა ორფეხა თაგვებისაგან. მათ წანაალმდეგ საბძრძოლველათ საზოგადებამ, გამოიწერა ოთხი ვაგონი მშიერი კატა. მანამდის კი, სანამ თაგვები არ მოისპობიან გამგეობამ საჭიროთ სცნო გამოუცვალოს კოოპერატივს სახელი და ნაცვლად „გლეხის იმედისა“ დაარქვას „თაგვების იმედი“.

იქიდანვე. აქაური ხალხი დიდათ, დაჯილდოვებულია ბუნებისგან მუსიკალური ნიჭით. ამასთანავე მას ტეტიური გრძნობებიც მეტათ განვითარებული აქვს. აი ინებეთ დამამტკიცებელი საბუთად მოკლე, მაგრამ უტყუარი სტატისტიკური ცნობა: მთელი ზნაკვაში ირიცხება 3000 მამაკაცი. აქედან-მეარღნე არის 1500; მეგარმონე 300 მედოლე: 199½ და დანარჩენები კი სხვა და სხვა ხელობას მისდევენ.

ს. ნიკორწმინდა. აქ შესდგა ლოთების პროფესიონარული კავშირი. წევრებისთვის სავალდებულოა: 1) ჰქონდეს ტიკის მგზავსი მუცელი, რომ თავისუფლათ შეიძლებოდეს როგორც შიგნით ჩასხმა ღვინისა, აგრეთვე გარეთ გადმოსხმაც. 2) ზედ მიწევნით უნდა იცოდეს ლანძღვა-გინებაში სახმარებელი ყველა ტერმინები. 3) უნდა ემარჯვებოდეს დუქნებში რევოლვერ სროლა. 4) აუცილებლათ თუ ხუთჯერ არა სამჯერ მაინც უნდა ექნეს თავი, ან ცხვირე ჩხუბში გატეხილი, და 5) თავისუფალი დრო დღე და ღამეში ჰქონდეს 26 საათი. ჯერჯერობით კავშირის წევრია რაოდენობა მხოლოდ ერთ პოლკს უდრის. მილიციის წევრები ღებულობენ მხურვალე მონაწილეობას. კავშირმა შეიძინა დროშა შემდეგი წარწერით „ლოთობაში ჰპოვებ შენსა უფლებას“.

იქიდანვე. ლოთებისგან მოსალოდველ დებოშის თავიდგან ასაცილებლათ კვირა დღეობით ადგილობრივ სამკირხველოს მეთვალყურეთ დანიშნულია ამხ. ბოქლომი.

კახი.

კონტრ-რევოლიუცია

(სიზმარ-ცხადი, ერთ მოქმედებათ).

მომქმედნი პირნი:

ჰეტრე.
სიკო.
ნიკოდიოზ მეორე.
გრ. რასპუტინი.
პროტოპოპოვი.

მოხელე—„ს. რ.“, **მეწვრილმანე**—„ს. დ.“, **მოსარქისტები**, **სოც. პარტიები** (ს. დ. და ს. რ.), **გაერთიანებული ბურჟუაზია** და **მისი წარმომადგენელი**, **ფერიები**, **ეშმაკები**, **მხედართ-მოსავრები**. **ანდრეები**, **პოლიციელნი**, **და სხ.**

—

(სცენა წარმოადგენს პატარა ოთახს,—ერთი კარითა და ორი ფანჯრით. შუა-გულ ოთახში სდგას მოზრდილი მაგიდა, რომელზედაც აწყვია წიგნები, საწერ-კალამი, ლრაფინკა, ჭიქა და სხ. მაგიდის პირდაპირ ჭერში გამოკიდულია ელექტრონის პატარა ასანთი. აქეთ იქითა მხარეს სდგას ორი დაგებული ტახტი; ოთახში არის აგრეთვე რამოდენიმე სკამი და ეტაჟერკა. კედელზე ჰკიდია კალენდარი და გამოჩენილ პირთა სურათები. ზაფხულის მოწმენდილი ღამეა. ფარდის ახდისას სცენა ცარიელია,—განათლებულია მთვარის მკრთალი სინათლით,—პატარა ხანში ფეხის ხმა მოატანს და ოთახში შემოვლენ პეტრე და სიკო).

ჰეტრე. უ, რა რიგად ცხელა ამ დასაქცევში! (ფანჯრებს აღებს).

სიკო. შენ სიცხეს ჩივი, და მე ამ ოხერი კონტრ-რევოლიუციის შიში მათავებს, (ელექტრონს გააჩაღებს).

ჰეტრე. ნუ გეშინია, ჩემო სიკო, ძველი რეჟიმის დღეები საუკუნოთ დათვლილია (წყალს ასხამს და სვამს).

სიკო. ნეტარ არიან მორწმუნენი, რამეთუ მათთან არს სიმშვიდე სულისა.

ჰეტრე. ხალხმა უკვე იგემა თავისუფლების ტკბილი ნაყოფი და აწ მას უსიკვდილოთ აღარ დასთმობს. (ჯდება).

სიკო. ჩემის აზრით, ამ ბოლონდელი დროს ამბები იმას მოწმობენ, რომ რევოლიუციონური მასის გვმოვნება ვერ არის ჯეროვანათ განვითარებული.

(ლოგინთან მიდის და დასაწოლათ ემზადება).

ჰეტრე. პროვოკაცია და ანარქიული ხასიათის გამოსვლები, რასაკვირველია, საქმეს ვნებს, რევოლიუციის გაღრმავებას ხელს უშლის, ხშირათ იწვევს ძმათა შორის უმიზნო შეტაკებასა და სისხლის ღვრას, მაგრამ ყველა ეს რევოლიუციის ძლევა მოსილ მიმდინარეობას ვერ შეაჩერებს!.. რევოლიუცია ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავს და ბრძოლიდან სრული გამარჯვებული გამოვა; ეს ასე მოხდება, რადგანაც ამას მოითხოვს ხალხის ბედნიერება! (ფეხსაცმლებსა და ხალათს იხდის).

სიკო. ბედნიერება ბევრ რამეს მოითხოვს, მაგრამ... (წვება).

ჰეტრე. სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს!

სიკო. მე მაინც ვგრძნობ გულის სიღრმეში რაღაც გამოურკვეველ შიშს.

ჰეტრე. ლაჩარი ხარ და მიტომ. (საათს დახედავს) ბიჭოს, პირველი საათი სრულდება! დავიძინოთ, თორემ... (სინათლეს აქრობს და წვება).

სიკო. შენ დარწმუნებული ხარ, რომ რევოლიუციას საფრთხე არ მოელის?

ჰეტრე. საფრთხე მოელის, მაგრამ დამარცხება არა. (პაუზა).

სიკო. ერთიც ვნახოთ,—ძველი რეჟიმის მოტრფიალემ ხალხმა გაიმარჯვა და ტახტზე ისევ ნიკოლოზ მეორე ავიდა...

ჰეტრე. მერე?

სიკო. მეტი სიფრთხილე გვმართებს. მაგალითათ, რა საჭიროა სარეგისტრაციო წიგნებში პარტიის წევრების ნამდვილი ვინაობის აღნიშვნა? საქმე რომ წახდეს, იმ წიგნებს ხელში ჩაიგდებენ, და ჩვენი სიცოდვე ძალი არ იქნება. ყველას გამოგვკიდებენ.

ჰეტრე. საქმე ნუ წახდება, თორემ იმათ ხელში სიცოცხლეს ისევ გამოკიდვა სჯობია.

სიკო. მაგი შეუძლია სთქვას ისეთს კაცს, რომელსაც სიცოცხლის ღირებულებაზე არავითარი წარმოდგენა აქვს! სიცოცხლე ისეთი რამ არის, რომ...

ჰეტრე. რა ჯანდაბათ გინდა გამწარებული სიცოცხლე?!.

სიკო. კი, მაგრამ... სიცოცხლე... სიცოცხლეზე ასე ზერეულთ ლაპარაკი...

ჰეტრე, კარგი, თუ ლმერთი გწამს! რწყილი

აქლემათ ნუ გეჩვენება, უსაფუძვლო შიშით გულს ნუ იხეთქ! დაიძინე, ხომ იცი ადრე ასადგომი ვართ?

სიკო. ყოველ შემთხვევაში, სიცოცხლე...

ჰეტრე. ეეე... რა ლაჩარი რამა ხარ! კაცო, დაიჯერე, რომ არავითარი განსაცდელი არ მოელის არც რევოლიუციას და არც შენს სიცოცხლეს! (დიდი პაუზა).

სიკო. მაინც რა უშავს, რომ სარეგისტრაციო წიგნებში პარტიის წევრები ფსეუდონიმებით იწერებოდეს? მეტი სიფრთხილე, თუ არ გვარგებს, რას გვაკნებს?

ჰეტრე. მძინავს, არაფერი შესმის?

(ლაპარაკი შესწყდება. ჩაეძინებათ. სცენაზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება. მთვარე დასავლეთისკენ დაექანება, და მისი სხივების ერთი კონა ფანჯარაში ისეთ ნაირათ შემოიჭრება, რომ პირდაპირ სიკოს მიაშუქებს. სიკო კმაყოფილებით გაიღიმებს, სახეზე ბედნიერების სხივი აუთამაშდება. ამ დროს სცენა უცებ დაბნელდება, და სურათი ერთიანათ შეიცვლება: მაყურებელთა თვალ წინ გადაიშლება თვალთ-წარმტაცი ბაღი მშვენიერი ყვავილებითა და ხეხილებით. მარჯვნით მოსჩანს ხშირი ტყე, ხოლო მარცხნით ცელქი ნაკადული. სცენის სიღრმეში ყურადღებას იპყრობს ნახევრათ დანგრეულ-დამსხვრეული ციხე-კოშკი, რომლის ძირში გვალივით მიიკანკლება უზარ-მაზარი ღვრიე მდინარე... ბაღში ისმის ჩიტების მხიარული ჭიკჭიკი. ნაკადულის პირას მხარ-თეძოზე წევს ყვავილებით გარე-მოცული სიკო და ტკბება გარემოს მშვენიერებით. ტყიდან გამოცქრიალდებიან თმებგაშლილი და ფეხ-შიშველა ფერიები. სცენა ვარდისფრათ განათდება. მოისმის მუსიკის საამური ხმა).

პირველი ფ. კერპი პირშავი
დაიმსხვრა, მტვრათ იქცა,

მეორე ფ. ძველი ქვეყანა
დაეშხო, დაიქცა.

მესამე ფ. სინათლემ სიბნელეს
ხელები დარია,

მეოთხე ფ. სინათლე ზეიმობს,
სიბნელემ კვდარია.

მეხუთე ფ. ქება და დიდება
მძლეთა-მძლე სიყვარულს,
უმისოთ არა აქვს
სიმტკიცე სიხარულს.

ყველა ერთ-ხმით: ქება და დიდება
მძლეთა-მძლე სიყვარულს,
უმისოთ არა აქვს
სიმტკიცე სიხარულს.

მეექვსე ფ. მო, დანო, დავკრიფოთ
ყვავილი, ვარდები,
ხელს ვეღარ შეგვიშლის,
ეკალი, ბარდები.

ყველა ერთ-ხმით: დავკრიფოთ, დავკრიფოთ
ყვავილი, ვარდები,
ხელს ვეღარ შეგვიშლის
ეკალი ბარდები.

(გაიფანტებიან, დაიხრებიან და ყვავილების კრებას იწყებენ. უცებ დაიგრგვინებს. სინათლე ფერს ჰკარგავს, მკრთალდება. ციხე-კოშკის ნანგრევების შუა-გულიდან მოშავო კვამლი ამოვა, ფერიები შეშინდებიან, ყვავილების კრეფას თავს მიანებებენ და ერთათ შეჯგუფდებიან. სიკოც შეკრთება და სულს განაბაგს).

პირველი ფ. დებო! შეხეთ—ბოროტების ბუდიდან შავი კვამლი ამოდის!

მეორე ფ. გოგირდის სუნსა ვგრძნობ!

მესამე ფ. ცას მოშავ-წითლო ფერი გადაეკრა!

მეოთხე ფ. რადაც უნდა მოხდეს! მეშინია! (დაიგრგვინებს).

მეხუთე ფ. საშინელების წინამორბედი წამია!

მეექვსე ფ. დებო, დავიმალოთ, დებო, მეშინია! (ნახევრათ დაბნელდება. დაიგრგვინებს. ციხე-კოშკის ნანგრევების შუა-გულიდან შავს კვამლს თან ცეცხლის უზარ-მაზარი ალი ამოჰყვება. დედა მიწის სიღრმიდან მოისმის საყვირის ხმა. ცეცხლი ნელ-ნელა ჩაქრება და მის ნაცვლათ გრ. რასპუტინის შავით მოსილი აჩრდილი ამოიმართება. მას ხელში საყვირია. ფერიები შიშისაგან ცახცახს დაიწყებენ, სიკო ყვავილებში ჩაიმალება. რასპუტინი ავსულთ მოიხმობს)

რასპუტინი. განახლებული ქვეყანა
უნდა დაინგრეს სრულათა!
შემოკრბითო, ქვეყნის სიკეთეს
ვინც უცქერთ ჩემებრ მტრულათა!

—

ბოროტო სულნო! ბუნაგი
დატოვეთ... დრო საშურია!

ჩემსკენ ისწრაფე, ვისაც ძმის
და მოყვასთ სისხლი გწყურია!

(საყვირს დაუკრავს, მდინარის ოღრო-ჩოღრო ნაპირებიდან ეშმაკები ამოძვრებიან. ფერიები ტყისკენ მიიპარებიან, სიკო თვალებზე ხელს მიიფარებს და პირ-ქვე დაეცხო?ა. საყვირის ხმა თან და თან ძლიერდება. ეშმაკები ერთმანეთთან მიდიან და ესალმებიან. ამ დროს იელვებს, იჭექებს და... სცენა ერთბაშათ დაბნელდება. ჭექა-ქუხილთან ერთათ ისმის მტვრევა-მსხვრევა, ლაწა-ლუწი, და ავსულთა მხიარული სიცილ-ხარხარი. თან და თან ყველაფერი დაწყნარდება, და სცენა ისევ განათდება. იგივე მიდამოა, მაგრამ სრულიად გატიალებული: აღარ არის ტურფა ბაღი, აღარა სჩანს ლამაზი ტყე, დამშრალია კეკლუცი ნაკადულიც. სცენის შუა-გულში მოგრძო მაგიდას უსხედან ნიკოლოზ მეორე, რასპუტინი და პროტოპოპოვი. მაგიდის მარჯვნით ჩამწკრივებულან მონარქისტები, მარცხნით სოც. პარტიის წევრები; ცენტრი გაერთიანებულ ბურჟუზიას უჭირავს. წეს-რიგს მხედართ მთავრები, ჯანდრები და პოლიციელნი იცავენ).

ნიკ. მეორე. (მარჯვნით). მოყვასნო! მშიერი ვიყავ და თქვენ მაჭამეთ, მწყუროდა და თქვენ მასვით, ტყვე ვიყავ და თქვენ მნახეთ, ტახტი დავკარგე და თქვენ დამიბრუნეთ!.. თქვენთვის მზათ არის ჩინებული სადილი, სადაც მეფე-დედოფალი დალევს თქვენს სადღეგრძელოს. ურა!

მონარქისტები. ურაა!... დიდ-გრძელ იყოს მეფე, გაუმარჯოს დედოფალს!

ნიკ. მეორე. (მარცხნით) მაძღარი ვიყავ და თქვენ მომაშივეთ, ღვინო ბევრი მქონდა და თქვენ მომაწყურეთ, თავისუფალი ვიყავ და თქვენ დამატყვევეთ, ტახტზე ვიჯექი და თქვენ ჩამომაგდეთ!.. თქვენთვის მზათ არის სახრჩობელა.

ხმები მარჯვნიდან: სიკვდილი მაგათ...

ნიკ. მეორე. (ცენტრს) თქვენ ხელი შეუწყვეთ ჩემს დამცირებას!.. თქვენ წახვალთ კატორღაში!

რასპუტინი. თქვენ სიკვდილის დასჯის ღირსი იყავით, მაგრამ ჩემი თხოვნით გულ კეთილმა მეფემ შეგიმსუბუქათ?ეგ მძიმე ხვედრი დიდ არს სულგრძელობა გვირგვინოსნისა!

ხმები. დიდ გრძელ იყოს მეფე, გაუმარჯოს მეფეს!

ბურ. წარმომადგენელი. მოწყალეო ხელმწიფეო! ნება მიბოძეთ თანა-მოაზრეთა სახელით ულრმესი მადლობა მოგახსენოთ იმ უხვი მოწყალებისათვის, რომლითაც თქვენმა ხელმწიფებამ ჩვენი კრებული გააბედნიერა. ამასთანავე მოგახსენებთ, ლმობიერ მეფეო, რომ ჩვენ იმედი გვაქვს სასჯელის სრული პატიებისა. მართალია, აჯანყების პირველ ხანებში უწესობაში ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა, მაგრამ დავიწყებას არც ის უნდა მიეცეს, რომ ჩვენმა ამ ბოლონდელმა მოღვაწეობამ გადამჭრელი როლი ითამაშა თქვენი მეორეთ მოსვლის საქმეში, ეს რომ ასეა, ამას, მგონი, მემარჯვენე ამხანაგებიდანაც ბევრი დაგვიმოწმებს...

ხმები. (მონ. ბან): მართალია, მართალი!.. ვამოწმებთ... მართალს ამბობს!

ბურ. წარ. დიახ, დიდო ხელმწიფეო, თქვენთვის რაიმე ვნების მოყენება ჩვენს პროგრამაში არასოდეს არ შედიოდა. ჩვენ ვითხოვდით მხოლოდ უმნიშვნელო რეფორმებს... ჩვენი სურვილის წინააღმდეგ მომხდარმა აჯანყებამ ძალა უნებურათ ჩვენც ჩაგვითრია, მაგრამ... გონება ერთი წამითაც არ დაგვიკარგავს: ჩვენი მეცადინეობით შერჩა ძვირფას მეფეს სიცოცხლე, ჩვენმა გაბედულმა მოქმედებამ შეუწყო ხელი მის ხელმეორეთ გამეფებას. მეფევ ბატონო! ჩვენ ყოველთვის თქვენი ერთგული მსახურნი ვყოფილვართ, ვიქნებით შემდეგშიაც! ნუ ინებებთ, რომ ეგ ბედნიერება წაგვერთვას... გვაცხოვრეთ და გვიმსახურეთ!

(ნიკ. მეორე, რასპუტინი და პროტოპოპოვი ჩუმათ ბჭობენ. ბურ. წარ. უხმოთ ანიშნებს რასპუტინს დაგვეხმარეთ და ფუდი, რამდენიც ვნებავთ, აიღეთო. რასპუტინიც ამცნობს—ნუ გეშინიათო. ამის შემდეგ ის რაღაც რჩევას მისცემს ნიკოლოზს. მეფე მას დაეთანხმება, პროტოპოპოვიც კმაყოფილია).

ნიკ. მეორე. წყალობითა ღვთისათა, მე ნიკოლოზ მეორეს, თვით მყრობელს სრულიათ რუსეთისა, მეფეს პოლონეთისა, დიდ მთავარს ფინეთისა და სხვათა, მიპატიებია თქვენთვის სასჯელი. დღეს ჩემთან იქნებით სადილათ. მეფესა და დედოფალს განზრახვა აქვთ ერთგულ ქვეშევრდომთა სადღეგრძელო დალიონ. გაუმარჯოს რუსეთს ურა!

(გაისმის გამაყრუებელი „ურა“. შიგა და შიგ ისმის ხმები: „გაუმარჯოს მეფეს“, „დიდება დედოფალს“, „სიცოცხლე მეფეს“! ყვირიან მარჯვნით და ცენტრში. ბოლოს რამოდენიმე კაცი დაიყვირებს სოც.

ბანაკშიაც. ეს გარემოება ყველას ყურადღებას მიიპყრობს).

ნიკოლოზ. მომეყურა თუ?!.

ბრიტოპოპოვი. არა, მეფეო, რაღაც საიდუმლოებაა!.. მეფეს გაუმარჯოსო!

რასპუტინი. ხელმწიფევ, იმათ რიცხვში ბევრი საიმედო პირია. (პროტოპოპოვს) გამოიხმეთ... გავიგოთ რაშია საქმე.

ბრიტოპოპოვი. (მარცხნით). მაქ ვინ დაიძახა მეფეს გაუმარჯოსო?

მოხელე. ერთათ მე დავიძახე... მე უბედურმა... (გამოვა და მეფის წინ დაიჩოქებს. ტირის).

ბრიტოპოპოვი. თქვენ სოციალისტი ხართ?

მოხელე. აბა რას ამბობთ თქვენო აღმატებულებავ. ვინ მე და ვინ სოციალისტი! ოც-და-ათი წელიწადი ხელმწიფის სამსახურში გამიტარებია.. მამასავით მიყვარდა... განა შემეძლო მისთვის მეღალატნა? მაწანწალებმა რომ ტახტიდან ჩამოაგდეს, ჩვენც დევნა დაგვიწყეს. თავი რომ განსაცდელისაგან დამეხსნა, ავდექი და სოციალისტობა დავიწყე... დიდი ჯაფა გადამწყდა... ს. დემოკრატებმა არ მიმიღეს... მერე ს. რევოლიუციონერებთან ჩავეწერე... ამ პარტიას ჩვენი წრიდან ძალიან ბევრმა შეაფარა თავი (ტირილი თან და თან ერევა)... ქვეყნის მპყრობელო, შეიწყალეთ ჩემი ცოლ-შვილი! მართალია, მე ვერ გამოვიჩინე შესაფერი გმირობა და შიშის გამო სოციალისტობა დავიჩემე, მარა სილაჩრე ხომ დანაშაული არ არის, დიდო ხელმწიფევ! (ქვითინებს. რასპუტინი მეფეს რაღაცას წასჩურჩულებს).

ნიკ. მეორე. (მოხელეს). შიპატიებია!

მოხელე. (აღტაცებით) მეფევ, მეფევ!.. (ფორთხვით მაგიდის ქვეშ შეძვრება და ფეხებს დაუკოცნის).

რასპუტინი. (პროტოპოპოვს) ამოშალეთ სარეგისტრაციო წიგნიდან!

ბრიტოპოპოვი. (მოხელეს). თქვენი სახელი და გვარი?

მოხელე. ივან ზახარიჩ პოხრიაკოვ, თქვენო აღმატებულებავ!

(პროტოპოვი მოსძებნის და ამოშლის. მოხელე მარჯვნით მიდის. ამ დროს სოც. ბანაკში ჩოჩქოლი და ხმაურობა ატყდება. აქა-იქ წინ წამოწევას დააპირებენ).

ჯანდარმი. (შეუტევს) ჩუმათ დაწყნარდით!

ხმები. ჩვენც ძალათ გასოციალისტებული ვართ, პატიებას ვითხოვთ!

რასპუტინი. ამოდენა ხალხი სულ ს. რევოლიუციონერების პარტიაში სწერიხართ?!. (წინ წამოიკრება მეწვრილმანე).

მეწვრილმანე. მე ა ა, ბატონო, მე ს. დემოკრატებში ვწერივარ. ღმერთმა იცოდეს, რომ არ მინდოდა ჩაწერა, მარა მითხრეს: დუქანს დაგიკეტავენო, პასპორტს არ მოგცემენო, საქმეზე ვერ მიდგებიო, კაცათ არავინ ჩაგაგდებსო, ხელს აღარ ჩამოგართმევენო... აღარაფერს გკითხავენ, თუ პარტიაში არ ხარო და მიტომ ჩავეწერე. (მეწვრილმანე ჩადგება. მეფე, რასპუტინი და პროტოპოპოვი ჩუმათ თათბირობენ).

ბრიტოპოპოვი. ბატონებო, დიდმა იმპერატორმა კეთილ-ინება და სასჯელი აპატია იმათ, ვინც სოციალისტურ ბანაკში შიშით ან სხვა რამ საპატიო მიზეზით მოჰყვა.

ხმები. დიდება მეფეს, გაუმარჯოს გვირგვინოსანს!.. („ურას“ ძახილი და მხიარული ყიჟინა დიდხანს გრძელდება).

ბრიტოპოპოვი. ამასთანავე გაცნობებთ, რომ ორი საათის შემდეგ თავისუფლების მოედანზე დაიწყება ნამდვილ სოციალისტების დასჯა. საჭიროა იმ დროს სამშობლოს ყველა ერთგული შვილი იქ იყოს, რათა საკუთარი თვალით იხილოს, თუ როგორ ისჯებიან ქვეყნისა და მეფის მოღალატენი...

ხმები: სიკვდილი მათ, სიკვდილი!

ბრიტოპოპოვი. ამიტომ მოგიწოდებთ, რომ ეხლავე გაეშუროთ დანიშნულ ადგილისაკენ. (მარცხნით) შეწყნარებულთ წინადადებას ვაძლევთ — შეუერთდენ სამშობლოს ერთგულ შვილებს!

ხმები: სარეგისტრაციო წიგნებში ჩვენცა ვსწერივართ, თქვენო აღმატებულებავ!.. ამოგვწერეთ, დიდო ბატონო!..

ბრიტოპოპოვი. სარეგისტრაციო წიგნებიდან თქვენი ამოწერა სასჯელის დაწყების წინ მოხდება. ეხლა კი ღმერთს მადლობა შესწირეთ და მარჯვნით გადადით.

ხმები: დღე-გრძელ იყოს მეფე, დიდება გულკეთილ იმპერატორს! .

(დაიწყება მარჯვნით გადასვლა. მონარქისტები დიდი სიხარულითა და აღტაცებით ეგებებიან ცოდვა მიტევებულთ. ტაშის ცემა და „ურას“ ძახილი

ირგვლივ ყველაფერს აზანზარებს. შიგა და შიგ ისმის ხმები: დიდება „მეფეს“, „სიკვდილი სოციალისტებს“, „გაუმარჯოს დედოფალს“! მოულოდნელათ სოც. ბანაკიდან გამოვარდება სახე გაფითრებული სიკო).

სიკო. მოითმინეთ!.. მეც მომისმინეთ! არ იფიქროთ პატიჟებას ვითხოვდე! არა, ჯერ ასე არ დავცემულვარ, არც დავეცემი!.. მთელ დედამიწის ზურგზე ვერ მოსძებნით ასეთ კაცს, რომელსაც სიცოცხლე ჩემზე მეტათ უყვარდეს, სიცოცხლის ღირებულებას ჩემზე მეტათ აფასებდეს!.. მაგრამ თავის დამცირებით ნაყიდ სიცოცხლეს ათასჯერ სიკვდილი მირჩევნია! რწმენა სიცოცხლის გვირგვინია, და ის, ვინც იმას უარ-ჰყოფს იმ მოსაზრებით, რომ სიცოცხლე შეინარჩუნოს, პატიოსან კვდრებსაც შორდება და ალარც ცოცხლებში ურევია!.. (საშინლათ ღელავს)... სიცოცხლე!.. (შეკრთება)... სულ რამოდენიმე წუთი-ღა დარჩენილა... (შიშის ზარი აიტანს)... თოკი... სული... გავიგუდები!.. ა... (დაბნელდება, და სანახავი შეიცვლება. პირველი სურათი. ჩამავალი მთვარის შუქი ოდნავ-ღა ანათებს სცენას. სიკო რაღაცას სწუხს, მოძრაობს, კვნესის).

პეტრე. (თავს წამოწევს). სიკო!..

სიკო. აააბ! საშინელებაა, საშინელება! (საცოდავათ აქვითინდება).

პეტრე. (წამოხტება, ელექტრონს აანთებს და სიკოსთან მიირბენს. აღვიძებს) სიკო, სიკო!..

სიკო. (გაიღვიძებს, წამოიწევა და პეტრეს მიაჩერდება. სახე საშინლათ გაფითრებული აქვს, თვალები აცრემლებული. კანკალებს). პეტრე შენა?!. (გაიხედ-გამოიხედავს. პაუზა).

პეტრე. რა დაგემართა, ბიჭო, რა იყო?

სიკო. (დარცხვენილათ). მაშ ყველაფერი ეს მხოლოდ სიზმარი იყო?..

d.

(ფ ს რ დ ს)

რუსეთის ფრონტები.



ბრძოლის ველი ერთობ განვითარდა და ბრძოლის პირთა მოხაზულობაც საგრძნობლათ დაიხლართა. ამას მეევრმეტყველურათ მოწმობს ჩვენი სურათი.

რედაქტორი ეშმაკი. სტამბა ვ. რუხაძისა, გამცემის შესახვ. № 1.